მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-2

დ. მესტია

27.12. 2021წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი,ბ. კვიციანი,გ. ხვისტანი, დ. გვიჩიანი, ვ. ჭკადუა, ზ. ფალიანი, ზ. დევდარიანი, გ. დადვანი, თ დადეშქელიანი, ი. რატიანი, ლ.პაკელიანი, ლ.პირველი, ლ.ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანუ, მ. ხერგიანი, ლ. ქალდანი, შ. გულედანი, შ. ცინდელიანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> მ. ჯაფარიძე, გ. გიგლემიანი, გ. გელოვანი, დ. ჯაფარიძე, ზ. ხარძიანი, ზ. ჯაფარიძე, ი. გირგვლიანი, მ. კვანჭიანი, მ. რატიანი, მ. გელოვანი.

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ს. ჩხვიმიანი, სოციალური განყოფილების უფროსი თ. დევდარიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის სემსრულებელი ვ. ფილფანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლ. გულედანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ი. რატიანი.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მზია ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 23 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი".

/მომხსენებელი: ს.ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

2. „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ".

/მომხსენებელი: ს.ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

3.,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე".

/მომხსენებელი: ს.ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ".

/მომხსენებელი: ს.ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წლის (10) ათ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ".

/მომხსენებელი: ს.ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

6. ,,მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტისა და პროგრამების დამტკიცების შესახებ".

/მომხსენებელი: თ. დევდარიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

7. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პროგრამის ,,მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტთა თანადაფინანსების" დამტკიცების შესახებ".

/მომხსენებელი: თ. დევდარიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

8. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

/მომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

9. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერისათვის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობის) ნაწილის, მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის უსასყიდლო უზერფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე".

/მომხსენებელი: თ.გოშთელიანი. თანამომხსენებელი: ზ.ფალიანი/

10. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

/მომხსენებელი: თ.ნავერიანი. თანამომხსენებელი: რ.გვარმიანი./

11. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

/მომხსენებელი: თ.ნავერიანი. თანამომხსენებელი: რ.გვარმიანი./

12. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

/მომხსენებელი: თ.ნავერიანი. თანამომხსენებელი: რ.გვარმიანი./

13. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახისთვის ფინანსური დახმარების (საცხოვრებელი სახლის შესყიდვის მიზნით) გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

/მომხსენებელი: ს.ჩხვიმიანი. თანამომხსენებელი: მ.ხორგუანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------18

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № 85 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს წესი განსაზღვრავს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი დახმარების გაცემის პირობებს, მათ მიერ მერიაში დახმარების მიღების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს. ისაუბრა სოციალური დახმარების პროგრამებზე,

პროგრამის მიზანია პროგრამაშ მონაწილე მიზნობრივი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა. პროგრამას დაემატა კოვიდ გადატანილი პირების სამედიცინო კვლევისთვის დაფინანსება 350 ლარით, ინვოისის და ასი ფორმის წარდგენის შემთხვევაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 2022წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 იანვრამდე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება №20 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს წესი ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკაროდ დარჩენილ პირთა დახმარებას, მათი კოტეჯის ტიპის საცხოვრისით უზრუნველყოფას. ისაუბრა რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ბენეფიციარი, წარმოადგინა უსახლკარო პირების რეგისტრაციის ფორმები, წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის საფუძველზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია იღებს გადაწყვეტილებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

დადგენილება მიღებულ იქნა
(დადგენილება №21 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე".

ს. ჩხვიმიანმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს ვალდებულებად დაეკისრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებთან მუშაობა, პროგრამის მიზანია სოციალური პოლიტიკის გატარება, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების სისტემის სრულყოფა, სოციალური დახმარბის პრიორიტეტების გამოკვეთა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზის წარმოება. ისაუბრა სოციალური დახმარების ოდენობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა, რ. გვარმიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------22

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე".

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება №22 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ".

აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები და რეგისტრირებული ახალშობილებისთვის საჩუქრის სახით, ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა მუნიციპალიტეტში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და წახალისების მიზნით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა, გ. დადეანმა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი ----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, „მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №90 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წლის (10)ათ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“.

მომხსენებელმა ს. ჩხვიმიანმა ისაუბრა სამსახურის მიერ ათი თვის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ, სოციალური სამსახური უზრუნველყოფს უმუშევართა, უმწეოთა, უსახლკაროთა, სტიქიით დაზარალებულ ოჯახთა, ხანდაზმულთა, მრავალშვილიან ოჯახთა, შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე ბავშვების, ვეტერანთა, ონკოლოგიურ, ფსიქიურად დაავადებულ, ცერებრალური დამბლით დაავადებულ და დიალეზით მოსარგებლე პირთა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, იძულებით გადაადგილებულ პირთა და შშმ პირთა, ბავშვთა აღრიცხვას და შესაბამისი ელექტრონული ბაზის შექმნას, მოსახლეობის საჭირეობაზე მორგებული მუნიციპალური პროგრამათა შემუშავებასა და განხორციელებას, ისაუბრა თუ რამდენი კორესპოდენცია იყო შემოსული ათი თვის განმავლობაში და რამდენზე იქნა დადებითი პასუხი გაცემული. (ანგარიში თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა--კომისიამ განიხილა აპროექტი, კომისია თვლის რომ სამსახურმა დებულებით დაკისრებული მოვალეობები სწორად და მიზანმიმართულად წარმართა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში 2021 წლის (10)ათ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №89 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. დევდარიანმა „ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისთვის ადმინისტრირების ქვეშ მყოფი კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა ისაუბრა პროგრამაზე, ცენტრი ემსახურება მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ზრდასრულს. საქმიანობის მიზნები და ამოცანები გახლავთ მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მათი ოჯახების

კეთილდღეობას, უზრუნველყოს ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა შშმ პირთათვის, იზრუნოს რათა ეფექტურად მოხდეს შშმ პირთა ინტეგრირება საზოგადოებაში. ისაუბრა ცენტრის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ ხორგუანმა--რამდენიმე წელია რაც ცენტრი ჩამოყალიბდა, გაიზარდა ბენეფიციარი და მომსახურეობის სერვისი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისთვის ადმინისტრირების ქვეშ მყოფი კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №87 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა მ. ჯაჯვანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პროგრამის ,,მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტთა თანადაფინანსების“ დამტკიცების შესახებ“.

პროექტის მიზანია მომავალი თაობის განათლებაზე ზრუნვა. მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტებს სწავლის საფასურის თანადაფინანსების სახით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წელს დაფინანსება გაიზარდა 500 ლარით და ყველა პირველკურსელი დაფინანსდება 1500 ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანმა. ვ. ჭკადუამ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პროგრამის ,,მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელ სტუდენტთა თანადაფინანსების“ დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № 86 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა ისაუბრა ,,საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსში" შესულ ცვლილებებზე და თავმჯდომარის მოადგილეებიშ რაოდენობაზე, აქედან გამომდინარე რეგლამენტის მეორე მუხლის მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ,,თანამდებობიდან გადაყენება ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღება კომისიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა''.
2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ფრაქციის ყოველ სამ წევრზე ერთი მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს შვიდისა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----გ. დადვანმა

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება №17 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხზე მოხსენება გააკეთა ზ. ფალიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერისათვის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობის) ნაწილის, მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის უსასყიდლო უზერფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს თანხმობას უზურფრუქტის ფორმით დროებით სარგებლობაში მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის 23,9კვ.მ ფართობის გადაცემას რესურსცენტრის ახალი შენობის აშენებამდე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ---- დ. გვიჩიანმა

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერისათვის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობის) ნაწილის, მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის უსასყიდლო უზერფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №88 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“. მომხსენებელმა წარმოადინა ბიუჯეტი შენიშვნების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა--აღნიშნა, რომ ვადების გათვალისწინებით განხილულ იქნა 2022 წლის ბიუეჯეტი, დღევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებულია შენიშვნები და მზად არის დასამტკიცებლად.

გ. დადვანი -- ფაქტიურად ბიუჯეტის განხილვაში არ მიგვიღია მონაწილეობა რის გამოც თავს შევიკავებ დამტკიცებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ---- გ. დადვანი, ზ. დევდარიანი, დ. გვიჩიანი, გ. ხვისტანი.

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება №23 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ,,საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად შევიდა ცვლილება მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებში და საშტატო ნუსხაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა

თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება № 19 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ,,საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად შევიდა ცვლილება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებში და საშტატო ნუსხაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------23

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“

დადგენილება მიღებულ იქნა

(დადგენილება № 18 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხზე მოხსენება გააკეთა ს. ჩხვიმიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახისთვის ფინანსური დახმარების (საცხოვრებელი სახლის შესყიდვის მიზნით) გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ნინო გადრანის განცხადება, ოჯახი არის სოციალურად დაუცველი სარეიტინგო ქულა-1000, არის მრავალშვილიანი, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი, 2008 წლიდან ცხოვრობენ სხვის სახლში რომელიც იყიდება, ითხოვს სახლის შეძენაში მუნიციპალიტეტის დახმარებას თანადაფინანსებით, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს უსახლკარო ოჯახების ფართით უზრუნველყოფას, მერია ითხოვს ნებართვას სრულყოფილი დოკუმენტაციის შემთხვევაში კომისიამ განიხილოს და დააკმაყოფილოს თანადაფინანსების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: გ. დადვანი--კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფის შემთხვევაში დაკმაყოფილდეს.
მ. ხორგუანი--კომისიამ შეისწავლა და თვლის რომ ადგილი სადაც ოჯახი ცხოვრობსდაცლის პირასაა და აუცილებელია ხელი შეუწყოთ და დაეხმაროს ადგილობრივი მმართველობა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------22
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახისთვის ფინანსური დახმარების (საცხოვრებელი სახლის შესყიდვის მიზნით) გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა
(განკარგულება №92 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.
სხდომა გამოცხადდა დახურულად.

იგორ რატიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე
მ/შ